ადვოკატირებისა და ლობირების გზამკვლევი

ევროკავშირში

ძვირფასო მკითხველო,

მოცემული გზამკვლევის მიზანია დაგეხმაროთ თქვენ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს გაიღრმავოთ ცოდნა ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ, გაეცნოთ ევროკავშირის ბიუროკრატიულ მექანიზმს და მიიღოთ ინფორმაცია ადვოკატირების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

გისურვებთ წარმატებებს.

გზამკვლევი მომზადებულია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ პროექტის „საქართველო და ევროკავშირი“ ფარგლებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

გზამკვლევში თავმოყრილი დოკუმენტების შინაარსზე პასუხისმგებელია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD). გზამკვლევში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს თვალსაზრისს.

© განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2016

ვ. პეტრიაშვილის ქ. N 13, 0179, თბილისი
www.CDD.ge | info@CDD.ge
ტელ: +995 790 333 111

ევროკავშირის ინსტრუმენტები

ევროკავშირის **საჯარო მოქმედებები** მოიცავს: საჯარო განცხადებებს, ასოცირების საბჭოს წინ ევროკავშირის განცხადებებს, რეზოლუციებს/ ანგარიშებს/ მოსმენებს ევროპის პარლამენტში, ევროპარლამენტარების მიერ დასმულ შეკითხვებს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ამოქმედებულ სანქციებს, ხელშეკრულების შეწყვეტას და ა.შ.

ევროკავშირის **არასაჯარო მოქმედებები** ითვალისწინებს: კონფიდენციალურ დემარშს, ასოცირების საბჭოზე, ასოცირების კომიტეტსა და ქვეკომიტეტებზე საკითხის არაფორმალურ განხილვას, ევროპარლამენტის წევრის შეხვედრას ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ა.შ.

ინდივიდუალური vs. ჯგუფური ადვოკატირების სამიზნეები

ევროპის პარლამენტის წევრის დარწმუნება, რომ ევროპარლამენტის სხდომაზე დააყენოს ესა თუ ის საკითხი (მაგ. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტი) გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ამ საკითხზე ევროპარლამენტის რეზოლუციის მიღება.

ამის მსგავსად, ბევრად უფრო მარტივია ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის დარწმუნება, რომ მან რეაგირება მოახდინოს რაიმე დარღვევაზე, ვიდრე ევროკავშირის ყველა ქვეყნისა. თუმცა კოლექტიური მოქმედება ბევრად უფრო მაღალი ლეგიტიმაციისა და დიდ მნიშვნელობასაც ატარებს.

ინდივიდუალური მოქმედებები: ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ან ევროკომისრის განცხადება, ევროპის პარლამენტის წევრის ან წევრების ოფიციალური წერილი ან შეკითხვა; ევროკავშირის ან მისი წევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები და სხვ.

ჯგუფური მოქმედებები: ევროკავშირის განცხადებები, ევროკავშირის განცხადებები ასოცირების საბჭოს წინ; ასოცირების საბჭოს დასკვნები, დემარში; ევროპარლამენტის რეზოლუცია და სხვ.

ადამიანის უფლებების დარღვევები და ევროკავშირის დიპლომატია

ევროკავშირის მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღება, როგორიც შეიძლება იყოს ქვეყანასთან ურთიერთობის გაწყვეტა ან შეჩერება, შეიძლება მოხდეს გამონაკლის შემთხვევებში თუ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევას სისტემატიური ხასიათი გააჩნია. აღნიშნული მოქმედებას ევროკავშირი იყენებს უკანასკნელ საშუალებად.

ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევების დროს ევროკავშირის ინსტრუმენტებია: სანქციები, ორმხრივი ხელშეკრულების (მაგ. ასოცირების ხელშეკრულება) შეჩერება და სხვ.

ა. სწრაფი და მოკლევადიანი მოქმედებები

1. საჯარო განცხადებები

ევროკავშირის მხრიდან საჯარო განცხადების გაკეთება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება სასწრაფოდ გადასაჭრელ თემებს მაგ: რაიმე ინცინდენტს ან მიმდინარე საკითხს. ეს ეფექტური საშუალებაა, რაც ზრდის ევროკავშირის ცნობადობას ქვეყანაში და ზიანს აყენებს ქვეყნის ხელისუფლების იმიჯს. საჯარო განცხადება ასევე კეთდება იმ შემთხვევაშიც, თუ ევროკავშირს სურს მორალური მხარდაჭერა გამოუცხადოს მაგ. ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციათა ჯგუფს. მსგავსი განცხადება შეიძლება გაკეთდეს ევროკავშირის უმაღესი წარმომადგენლის მხრიდან. განცხადების ტექსტი თახმდება ქვეყანაში ევროკავშირის დელეგაციასთან და მის შემუშავებაში ასევე მონაწილეობენ ქვეყანაში აკრედიტირებული ევროკავშირის წევრი ქვეყნის საელჩოები.

სასარგებლო მინიშნება

იმისთვის, რომ ევროკავშირმა მსგავსი განცხადება გააკეთოს, საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ თავიანთ ქვეყანაში ევროკავშირის დელეგაციის პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელს ან ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში თავიანთი ქვეყნის "დესკ ოფიცერს" ან ადამიანის უფლებათა განყოფილებას.

საჯარო განცხადების გაკეთების შესახებ ევროკავშირს თხოვნით უნდა მიმათოთ მალევე, როგორც კი პრობლემა წარმოიქმნება.

საჯარო განცხადება შეიძლება ასევე გააკეთონ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, ან ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებმა, როდესაც ისინი სტუმრობენ მოცემულ ქვეყანას. შესაძლებელია, რომ განცხადება გააკეთოს ასევე ინდივიდუალურად ევროპარლამენტის რომელიმე წევრმა.

2. დემარში (კონფიდენციალური მოქმედება)

ეს მოქმედება გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში. დემარშის მოთხოვნით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა უნდა მიმართოს ევროკავშირის დელეგაციის პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელს ან ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე პირს. ადვოკატირებისას საჭიროა კონკრეტულად დაასახელოთ ხელისუფლების შტო, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული დემარში და საკითხი, რაც უნდა გახდეს დემარშის მიზეზი.

იმის მიხედვით, თუ რამდენად მტკიცე პოზიციას აირჩევს ევროკავშირი, ადვოკატირების ამ მეთოდს შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგი მოყვეს. დემარში, როგორც წესი ხდება ადგილობრივ დონეზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიების მიერ. დემარშს ევროკავშირის სახელით შეიძლება მიმართოს ქვეყანაში ევროკავშირის ელჩმაც.

პრობლემური საკითხის განხილვა შეიძლება ასევე მოხდეს ქვეყანაში ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტისას. ამისთვის საჭიროა სამოქალაქო საზოგადეობის წარმომადგენელმა მიმართოს ევროკავშირის დელეგაციას და წინასწარ მიიღოს ინფორმაცია ვიზიტის თარიღთან დაკავშირებით. ამას გარდა შეგიძლიათ მოითხოვოთ ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირთან შეხვედრა ან მონაწილეობა მიიღოთ მისი და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრაში.

3. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან სტუმრობა

აღნიშნული გულისხმობს ევროკავშირის წარმომადგენლის ვიზიტს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან, რომელიც პენიტენციალურ სისტემაშია მოთავსებული. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ თანამშრომლობს ამ მიმართულებით და ხელს უშლის აღნიშნული შეხვედრის გამართვას. ვიზიტის მიზანია დაიცვას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი არაჰუმანური მოპყრობისაგან.

4. სასამართლო პროცესზე დაკვრივება

ევროკავშირის მხრიდან სასამართლო პროცესზე დაკვირვება ხდება მაშინ, როდესაც არის მიკერძოებულობის რისკი. უცხოელი დიპლომატების დასწრებამ სასამართლო პროცესზე შეიძლება პოზიტიური გავლენა იქონიოს შედეგზე.

საუკეთესო შემთხვევაში სასამართლო პროცესზე დასწრების შემდეგ ევროკავშირის წარმომადგენელმა უნდა გააკეთოს საჯარო განცხადება, სადაც ის შეაფასებს სასამართლოს მიმდინარეობას.

სასარგებლო მინიშნება

სასამართლოზე დაკვირვება ხდება ევროკავშირის დელეგაციის მიერ. შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა უნდა მიმართოს ევროკავშირის დელეგაცის წერილობითი თხოვნით. იგივე თხოვნით შეიძლება მიმართოთ ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის საელჩოს (ელჩის მოადგილეს), რომელიც აქტიურად არის დაინტერესებული ადამიანის უფლებათ დაცვის საკითხით და რომელიც დაგეხმარებათ ამ თემაზე ევროკავშირის გააქტიურებაში. მიმართვას თან უნდა ერთვოდეს საქმის დეტალური აღწერა, ასევე სასამართლოს სხდომის ჩატარების დაგეგმილი დრო, ადგილი და თარიღი.

მიმართვა უნდა მომზადდეს სასამართლოს სხდომის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

5. ინდივიდუალური დახმარება

ეს ზომა გამოიყენება გადაუდებელი შემთხვევებისას, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა დაცველებს, რომლეთა საქმიანობასა და ფიზიკურ არსებობას საფრთხე ემუქრება.

სასარგებლო მინიშნება

შეგიძლიათ დააყენოთ საკითხი პიროვნების ქვეყნიდან გაყვანის თაობასა და ამისთვის სასწრაფო ფორმით ვიზის გაცემაზე. ამასთან ევროპის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტი (EIDHR) ითვალისწინებს მიკრო გრანტის, 10,000 ევრომდე, გაცემას იმ ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, რომლებიც მსგავს დახმარებას საჭიროებენ.

ბ. საშუალო და გრძელვადიანი მოქმედებები

1. ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტის ან ასოციერების საბჭოს შეხვედრები

აღნიშნული მოქმედებები გამოიყენება, როგორც ინდივიდუალურ ასევე ჯგუფურ შემთხვევებში.

სასარგებლო მინიშნება

საჭიროა დაუკავშირდეთ ევროკავშირის დელეგაციას (პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელს) ქვეყანაში და გაარკვიოთ თუ როდის არის დადგენემილი ასოცირების საბჭოს, კომიტეტისა და ქვეკომიტეტების შეხვედრები და ჩამოაყალიბოთ თემა, რომელიც გინდათ, რომ ამ შეხვედრაზე გაჟღერდეს. მიაწოდეთ მოკლედ ინფომაცია ამ თემაზე ევროკავშირის წარმომადგენლობას როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, დელეგაციის წარმომადგენელთან პირისპირ შეხვედრისას.

იმ შემთხვევაში თუ ტარდება ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტის შეხვედრა საჭირო იქნება მოამზადოთ დეტალური ინფორმაცია და რეკომენდაციები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა საკითხებზე. მაღალი დონის შეხვედრისთვის კი აქცენტი უნდა გაკეთდეს ერთ ან ორ ზოგადი ხასიათის საკითხზე.

საჭიროა აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდოს ასევე ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში ქვეყანაზე მომუშავე "დესკ ოფიცერს". აუცილებელია, რომ დაესწროთ საკონსულტაციო შეხვედრას, რომელსაც ევროკომისია მართავს ქვეკომიტეტების შეხვედრების გამართვის წინ.

ქვეკომიტეტზე განსახილველი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს შეხვედრამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

ქვეკომიტეტის შეხვედრის შემდეგ იმართება განმეორებით შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან (debriefing). მნიშვნელოვანია ამ შეხვედრაში მონაწილეობა, რათა გაეცნოთ ინფორმაციას იმ თემებსა და გადაწყვეტილებებზე, რომელიც ქვეკომიტეტის შეხვედრაზე იქნა მიღებული.

2. ევროპარლამენტის რეზოლუცია

ევროპარლამენტის მიერ რეზოლუციის მისაღებად ადვოკატირებისთვის საჭიროა დაუკავშირდეთ შესაბამის ევროპარლამენტარს. ეს შეიძლება იყოს ევროპარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (მაგ. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე), დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროპარლამენტის რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი (მაგ. ევროპის ლიბერალ-დემოკრატების ალიანსი). შეეცადეთ, რომ მოიპოვოთ რამოდენიმე პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერა, რომელთა შორისაც ერთ-ერთ ყველაზე დიდი ჯგუფი იქნება. წარუდგინეთ მათ შესაბამისი დოკუმენტები და შეხვდით მათ.

რეზოლუციის მიღების მოთხოვნისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგზე:

ა) მოეწყოს ქვეყნის შესახებ შესაბამის საკითხზე საკომიტეტო მოსმენა;

ბ) მოეწყოს დებატები ამ თემაზე ევროპარლამენტის პლენაურ სხდომაზე, რომელსაც ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელიც დაესწრება;

გ) მოითხოვეთ, ევროპარალმენტმა მიიღოს "სასწარფო რეზოლუცია" მოცემულ თემაზე;

დ) ევროპარლამენტმა მოიახდინოს ზეწოლა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოსა და საგარეო ურთიერთობა სამსახურზე.

სასარგებლო მინიშნება

არასამთავრობო ორგანზაციის წარმომადგენელს შეუძლია ევროპარლამენტის მიერ შესაბამისი რეზოლუციის ადვოკატირებისას საპარლამენტო კომიტეტის ან ქვეკომიტეტის შეხვედრაზე ან საჯარო შეხვედრაზე წარმოადგინონ ანგარიში/ პრეზენტაცია. ამისთვის საჭიროა წინასწარ დაუკავშირდეთ კომიტეტის თავმჯდომარეს, კომიტეტის სამდივნოს, ან ამ კომიტეტის რამოდენიმე მნიშვნელოვან წევრს.

ინფორმაცია ევროპარლამენტის პოლიტიკურ გუნდს უნდა მიეწოდოს პარლამენტის პლენარული სესიის გამართვამდე მინიმუმ სამი კვირით ადრე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად (ევროპარლამენტის მიერ რეზოლუციის მიღება) კიდევ ერთი საშუალებაა ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა მათი თქვენს ქვეყანაში სტუმრობისას. ამისათვის საჭიროა დაუკავშირდეთ ევროკავშირის დელეგაციას ან ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელს, რათა მიიღოთ ინფორმაცია ვიზიტის თარიღთან დაკავშირებით და მოითხოვოთ შეხვედრა.

აღნიშნული შეხვედრისთვის მოამზადეთ წერილობითი დოკუმენტები, რომელშიც ასახული იქნება მნიშვნელოვანი საკითხი და რეკომენდაციები. შეხვედრის შემდეგ ისევ დაუკავშირდით დელეგაციის წევრებს. იზრუნეთ იმაზე, რომ ევროპარლამენტის წევრებმა მუშაობა დაიწყონ რეზოლუციის მოსამზადებლად.

3. ევროპარლამენტარის შეკითხვა

ევროპარლამენტის წევრს უფლება აქვს შეკითხვით (წერილობით ან ზეპირად) მიმართოს ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს ან ევროკომისიას და გაარკვიოს თუ რა მოქმედებებს ახორციელებენ ისინი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, რაც ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოებას აწუხებს.

სასარგებლო მინიშნება

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ვალდებულია უპასუხოს ევროპარლამენტის წევრის შეკითხვას. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვს პარლამენტის წევრს უმაღლეს წარმომადგენელს დეტალური წერილით მიმართოს, სადაც რეკომენდაციების ნაწილში ჩამოყალიბებული იქნება კონკრეტული მოქმედებები. ამისათვის საჭიროა დაუკავშირდეთ ევროპარლამენტის წევრს, მიაწოდოთ მას სრული ინფორმაცია მათ შორის დეტალური რეკომენდაციები იმ მოქმედებებზე, რაც ევროკავშირმა უნდა განახოციელოს.

4. ასოცირების დღის წესრიგის შემუშავების პროცესში ჩართვა

ევროკავშირი რეგულარულად ანახლებს ასოცირების დღისწესრიგს (მოქმედი დღისწესრიგი იწურება 2016 წლის ბოლოს). ასოცირების დღისწესრიგში საკითხის შეტანა მნიშვნელოვანია, იმ თვალსაზრისით, რომ ეს საშუალებას იძლევა მომდევნო წლების მანძილზე ევროკავშირმა მას დიდი ყურადღება დაუთმოს და მისი განხილვა რეგულარულად მოხდეს სხვადასხვა შეხვედრებზე.

ამასთან ხელისუფლებაც ყოველი წლის ბოლოს ადგენს ასოცირების ხელშეკრულების შესრულების სამოქმედო გეგმას. საჭიროა ამ კუთხით ადვოკატირება, რომ შესაბამისი თემა მოხვდეს ხელისუფლების ყურადღების სფეროში.

სასარგებლო მინიშნება

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს შეუძლია ევროკავშირის დელეგაციასთან კონტაქტის საფუძველზე გაარკვიოს თუ როდის არის დაგეგმილი ასოცირების დღისწესრიგის განახლება და რა შესაძლებლობებია დოკუმენტში აისახოს სამოქალაქო სექტორისთვის მნიშვნელოვანი თემები.

ასოცირების დღისწესრიგის მიღების შემდეგ კი უნდა მოხდეს მისი შესრულების რეგულარული მონიტორინგი.

ასოცირების დღისწესრიგისა და მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების კუთხით გამოვლენილი პრობლემების შემთხვევაში, უნდა მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები და ინფორმაცია მიეწოდოს ევროკავშირის დელეგაციას როგორც პირისპირ შეხვედრისას, ასევე წერილობითი კონსულტაციების დროს. ამასთან აუცილებელია, რომ მონიტორინგის შედეგები მიეწოროს ბრიუსელში ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებს.

5. ჩართულობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლობებთან

ზოგიერთ შემთხვევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ ამა თუ იმ საკითხის წამოწევა შეიძება ევროკავშირზე არანაკლებ ეფექტური იყოს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც წევრ ქვეყანას სახელმწიფოსა და მის ხელისუფლებაზე დიდი გავლენა აქვს და შეუძლია მტკიცედ იმოქმედოს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სამოქალაქო სექტორმა ითანამშრომლოს აღნიშნული ქვეყნიდან თავიან კოლეგებთან, რათა მათ ერთობლივი ძალებით მიაღწიონ მიზანს.

სასარგებლო მინიშნება

დაუკავშირდით ევროკავშირის წევრი ქვეყნის ელჩს ან პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელს. დაუკავშირდით აღნიშნული ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს. შეეცადეთ დაარწმუნოთ ამ ქვეყნის პარლამენტი მოამზადოს რეზოლუცია თქვენს ქვეყანაზე,

სადაც ასახული იქნება ის საკითხი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებს წარმომადგენლებს აწუხებთ. შეხვდით საგარეო საქმეთა მინისტრს, სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს ან ამ ქვეყნიდან ჩამოსულ პარლამენტარებს, როდესაც ისინი თქვენს ქვეყანას ესტუმრებიან. გაარკვიეთ, აღნიშნული ვიზიტების თარიღები და საელჩოების საშუალებით მოითხოვეთ შეხვედრა.

საკონტაქტო მონაცემები

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ვებგვერდი: www. eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm

ნინო ჩხეიძის ქ. # 38; 0102 თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 294 37 63

ელჩი: იანუშ ჰერმანი

ელჩის მოადგილე: კარლო ნატალე

ელ.ფოსტა: carlo.natale@eeas.europa.eu

პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი: დოროტა დლოუჩი-სულიგა

ელ.ფოსტა: dorota.dlouchy@eeas.europa.eu

საქართველოს დესკი, ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური

ნატაშა ვაკსმანი

ელ ფოსტა: natacha.waksman@eeas.europa. eu

ევრონესტი საპარლამენტო ასამბლეა

ჰეიდი ჰაუტალა - თანაპრეზიდენტი

ელ. ფოსტა: heidi.hautala@ep.europa.eu

ევროკავშირ - საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტი

საჯად კარიმი - თანათავმჯდომარე

ელ. ფოსტა: sajjad.karim@ep.europa.eu